

ეროვნული პროფესიული საბჭოს  
გაფართოებული სხდომის  
დღის წესრიგი

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო

(მისამართი: ქ. თბილისი; დიმიტრი უზნაძის ქ. №52)  
II სართული, ოთახი №218  
15:00 სთ; 14 თებერვალი, 2012

1. სხდომის გახსნა - ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;
2. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების ანგარიში - ლალი ებანოძე პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი;
3. ეროვნული პროფესიული საბჭოს ფარგლებში შექმნილი თემატური ჯგუფის მიერ შემუშავებული სამოქმედო გეგმების წარმოდგენა და დამტკიცება- თემატური ჯგუფის ხელმძღვანელები
4. ცვლილებები და დამატებები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართში - გია ტარიელაძე - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
5. დისკუსია;
6. სხდომის შეჯამება და დახურვა

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ირინე ქურდაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე
2. ლალი ებანოძე - პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსი
3. მარინა ქვარიანი - საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა და სპორტის სამინისტრო;
4. დავით ჩხაიძე - საქართველოს ფინანსთა სამინისტრო;
5. შორენა ჯაფარიძე - დამოუკიდებელი ექსპერტი;
6. პაატა ბელთაძე - საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
7. კოტე ნანობაშვილი - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;

8. თამარ მამუკელაშვილი - სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
9. ნათელა პაპუნაშვილი - სსიპ პროფესიული კოლეჯის "აისის" დირექტორი;
10. თეა კვინტრაძე - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე;
11. კახა ბაინდურაშვილი - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის პრეზიდენტი;
12. გივი კახიშვილი - შემდუღებელთა და მასალათმცოდნეთა კავშირის აღმასრულებელი დირექტორი;
13. ჟაკო ჟორჟაძე - საქართველოს ბარმენთა ასოციაციის პრეზიდენტი;
14. ნინო ელბაქიძე - სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის სახელმწიფო პროგრამის "პროფესიული სტანდარტები განათლებაში" კოორდინატორი;
15. ნათია ჭითავა - მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი
16. მაკა კურდელია - საქართველოს განათლებსა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს მთავარი სპეციალისტი
17. ანა მჭედლიშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
18. გვანცა ტაბატაძე - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
19. დიმა მოლაშვილი - საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი
20. Oliver Reisner – EU
21. ნათია კვიციანი - IOM
22. ელენე ცხაკაია - GIZ
23. Joerg Senn - GIZ
24. Vanessa Volkel – GIZ
25. გიორგი ნანობაშვილი - UNDP

სხდომას თავმჯდომარეობდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე ქალბატონი ირინე ქურდაძე, რომელიც მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და გააცნო დღის წესრიგი, თუ რასთან დაკავშირებით იქნებოდა საუბარი საბჭოს სხდომის მიმდინარეობისას. ასევე, საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ პირებს აცნობა, რომ პროფესიული განათლების შესახებ კანონში შესატანი ცვლილებების პროექტი გატანილია პარლამენტის სხდომაზე და დასძინა, რომ ცვლილებები ეხება პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნებას და ეს კანონპროექტი მომზადდა კულტურისა და სპორტის სამინისტროების ინიცირებით, ასევე კანონში დამატება ჩანაწერი, რომ ვაუჩერული დაფინანსება წავა მხოლოდ იმ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე, რომლებიც გაივლიან აკრედიტაციას.

მას შემდეგ რაც საბჭო დაეთანხმა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვას, ქ-ნმა ირინე ქურდაძემ სთხოვა პროფესიული და ინკლუზიური განათლების განვითარების დეპარტამენტის უფროსს, ქ-ნ ლალი ებანოძეს წარმოედგინა პროფესიული განათლების განვითარების რეფორმის სტრატეგიის განხორციელების ანგარიში.

ქ-ნმა ლალიმ ისაუბრა იმ აქტივობების შესახებ, რომელიც განხორციელდა 2011 წელს როგორც სახელმწიფოს ისე დონორი ორგანიზაციების ძალისხმევით პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისთვის.

ქ-ნმა ირინე ქურდაძემ მადლობა გადაუხადა ქ-ნ ლალი ებანოძეს ასეთი დეტალური პრეზენტაციისთვის და დაამატა, რომ საბჭო წევრები და დაინტერესებული მხარეები აქტიურად იყვნენ ჩართულები და ინფორმირებულები ამ აქტივობის შესახებ და დღევანდელი პრეზენტაცია იყო ამ ღონისძიებების ერთგვარი თავმოყრა. **ქ-ნმა ირინემ საბჭოს სხდომის მონაწილეებს მიმართ კითხვების არსებობის შემთხვევაში შეეძლოთ**

ევროკავშირის დელეგაციის წარმომადგენელმა საქართველოში - ოლივერ რეისნერმა იკითხა არსებობს თუ არა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულთა დასაქმების სტატისტიკა. ქ-ნმა ლალიმ უპასუხა რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებები თვითონ აწარმოებენ დასაქმების სტატისტიკას, რომელსაც პროფესიული განათლების განვითარების სამმართველოს წარუდგენენ.

ქ-ნმა ირინემ აღნიშნა, რომ კოლეჯები ბოლო 2 წლის განმავლობაში მეტად დაახლოვდნენ კერძო სექტორთან/ბიზნესთან, მაგალითისთვის მოიყვანა კაჭრეთის პროფესიული კოლეჯი "აისი" და თბილისის პროფესიული კოლეჯი "იკაროსი". მან აღნიშნა, რომ იყო დრო როცა ინგლისური ენა

საერთოდ არ ისწავლებოდა კოლეჯებში და ახლა ის აუცილებელ საგნად არის ჩადებული -ეს მოთხოვნა კი სწორედ დამსაქმებლებიდან მოდის.

საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების წარმომადგენელმა ბ-ნმა პაატა ბელთაძემ იკითხა არსებობს თუ არა დაფინანსების სამართლებრივი დოკუმენტები და რის საფუძველზე მოხდება ვაუჩერის განაწილება. ქ-ნმა ირინე ქურდაძემ უპასუხა რომ ამ ეტაპზე მიმდინარეობს დაფინანსების მოდელზე აქტიური მუშაობა, როგორც კი მზად იქნება სამუშაო ვერსია, სამინისტრო საბჭოს წევრებს და დაინტერესებულ მხარეებს ელექტრონულ ვერსიას გადაუგზავნის და გარკვეულ დროს მისცემს კომენტარებისთვის, შესაბამისად საჭიროების შემთხვევაში კიდევ ერთხელ გაიმართება საბჭოს სხდომა სადაც მოხდება განხილვა და საბოლოო ვერსიაზე შეჯერება, ხოლო რაც შეეხება ვაუჩერს - მისი განაწილება მოხდება მხოლოდ სახელმწიფოს მიერ აკრედიტირებულ პროგრამებზე.

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელმა დავით ჩხაიძემ იკითხა თუ საიდან განხორციელდება ვაუჩერული დაფინანსება - სახელმწიფო ასიგნებიდან თუ დონორი ორგანიზაციების დაფინანსებით. ქ-ნმა ირინემ მიუგო, რომ ვაუჩერული დაფინანსება მხოლოდ და მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტით მოხდება.

დამოუკიდებლმა ექსპერტმა ქ-ნმა შორენა ჯაფარიძემ იკითხა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების ტრენინგები ვრცელდებოდა მხოლოდ სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებზე თუ კერძოზეც, ქ-ნმა ლალიმ უპასუხა რომ ამ ეტაპზე სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხით მოხდა სსიპ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების მასწავლებლების დატრენინგება. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილემ დაამატა - თუ კერძო სექტორს ექნება სურვილი შეუძლიათ მიმართონ მასწავლებელთა სახლს, გადაიხადონ შესაბამისი თანხა და მასწავლებლის სახლი უზრუნველყოფს მათ დატრენინგებას.

მას შემდეგ რაც კითხვები ამოიწურა, ქ-ნმა ირინემ საბჭოს წევრებს სთხოვა მეორე საკითხზე გადასვლა, რომელიც ეხებოდა თემატური ჯგუფების სამოქმედო გეგმების განხილვას და დამტკიცებას. საბჭოს წევრები დაეთანხმნენ წარმოდგენილ სამოქმედო გეგმებს და საბჭომ მოიწონა და დაამტკიცა აღნიშნული გეგმები.

საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციამ აღნიშნა რომ მიმდინარე წელს მათი ინიციატივით პროფესიულ კოლეჯში "იკაროსი" გაიმართა შეხვედრა, სადაც ჩართული იყვნენ დამსაქმებლები. სამინისტრომ აღნიშნულ შეხვედრაზე წარმოადგინა პროფესიული განათლების განვითარების

პოლიტიკა და ისაუბრა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებზე და იმ პროგრამებზე, რომლებიც ამ ინსტიტუციებში ხორციელდება. ქ-ნმა ირინემ ხაზი გაუსვა თბილისის მერიის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ერთობლივ პროექტს, რომელიც ეხება ახალგაზრდების საზაფხულო დასაქმებას.

განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენელმა, ბატონმა გაია ტარიელაძემ წარმოადგინა პრეზენტაცია ”ცვლილებები და დამატებები ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოს მე-4 დანართში” და ისაუბრა იმ დაგეგმილ ცვლილებებზე, რომელიც პროფესიულ საკვალიფიკაციო ჩარჩოში უნდა განხორციელდეს. დისკუსიის შედეგად გადაწყვიტეს რომ მოიწვიონ დარგობრივი საბჭოები და კიდევ ერთხელ განიხილონ **პარიკმახერისა და ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამმუშავებლის** კვალიფიკაციები და შესაბამისად პარიკმახერის კვალიფიკაცია შეიცვალოს სტილისტით, ხოლო ხილ-ბოსტნეულის პირველადი გადამმუშავებლის კვალიფიკაციიდან ამოიღონ სიტყვა პირველადი.

საბჭოს სხდომა შეაჯამა ქ-ნმა ირინე ქურდაძემ და სხდომა დახურულად გამოაცხადა.